# საქართველოს ფინანსთა მინისტრის

## ბრძანება №184
## 2015 წლის 19 ივნისი

## ქ. თბილისი

## „საწარმოსათვის/ფინანსური ინსტიტუტისათვის საერთაშორისო ფინანსური კომპანიის, სპეციალური სავაჭრო კომპანიის და საერთაშორისო საწარმოს სტატუსის მინიჭების/გაუქმების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის №641 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

**მუხლი 1**

„საწარმოსათვის/ფინანსური ინსტიტუტისათვის საერთაშორისო ფინანსური კომპანიის, სპეციალური სავაჭრო კომპანიის და საერთაშორისო საწარმოს სტატუსის მინიჭების/გაუქმების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის N641 ბრძანებაში (ვებგვერდი, 30/12/2011 სარეგისტრაციო კოდი 200250000.22.033.016294) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ბრძანების:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საწარმოსათვის/ფინანსური ინსტიტუტისათვის საერთაშორისო ფინანსური კომპანიის და სპეციალური სავაჭრო კომპანიის სტატუსის მინიჭების/გაუქმების წესის დამტკიცების თაობაზე“;

ბ) პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის, 23-ე და $24^1$ მუხლების, საფუძველზე, ვბრძანებ:“;

გ) პირველი მუხლის:

გ.ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საწარმოსათვის/ფინანსური ინსტიტუტისათვის საერთაშორისო ფინანსური კომპანიის და სპეციალური სავაჭრო კომპანიის სტატუსის მინიჭება და გაუქმება, აგრეთვე, საერთაშორისო ფინანსური კომპანიების და სპეციალური სავაჭრო კომპანიების რეესტრის ელექტრონული ფორმით წარმოება განახორციელოს საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – შემოსავლების სამსახურმა.“;

გ.ბ) მე-2 პუნქტის:

გ.ბ.ა) „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) „საწარმოსათვის/ფინანსური ინსტიტუტისათვის საერთაშორისო ფინანსური კომპანიის და სპეციალური სავაჭრო კომპანიის სტატუსის მინიჭების/გაუქმების წესი“ (დანართი №1);

ბ) საერთაშორისო ფინანსური კომპანიის და სპეციალური სავაჭრო კომპანიის სტატუსის მინიჭების/გაუქმების თაობაზე განცხადების ფორმა (დანართი №2);“;

გ.ბ.ბ) „ე“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

გ.ბ.გ) „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) საერთაშორისო ფინანსური კომპანიების და სპეციალური სავაჭრო კომპანიების რეესტრის ფორმა (დანართი №6)“.

2. ბრძანებით დამტკიცებული „საწარმოსათვის/ფინანსური ინსტიტუტისათვის საერთაშორისო ფინანსური კომპანიის, სპეციალური სავაჭრო კომპანიის და საერთაშორისო საწარმოს სტატუსის მინიჭების/გაუქმების წესის“ (დანართი N1):

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საწარმოსათვის/ფინანსური ინსტიტუტისათვის საერთაშორისო ფინანსური კომპანიის და სპეციალური სავაჭრო კომპანიის სტატუსის მინიჭების/გაუქმების წესის“;

ბ) პირველი მუხლის:

ბ.ა) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. სპეციალური სავაჭრო კომპანია - საწარმო, რომელსაც საქართველოს საგადასახადო კოდექსის $24^1$ მუხლის შესაბამისად მინიჭებული აქვს სპეციალური სავაჭრო კომპანიის სტატუსი.“;

ბ.ბ) მე-5 - მე-7 პუნქტები ამოღებულ იქნეს;

გ) მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. სტატუსის მინიჭებაზე უფლებამოსილი საგადასახადო ორგანო ვალდებულია განიხილოს სტატუსის მინიჭების შესახებ განცხადება, შეისწავლოს განცხადებაში მითითებული მონაცემების სისწორე, არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა გასცეს დადგენილი ფორმის სტატუსის მინიჭების თაობაზე სერტიფიკატი (დანართი №3) და მონაცემები შეიტანოს საერთაშორისო ფინანსური კომპანიების და სპეციალური სავაჭრო კომპანიების რეესტრში (შემდგომში - რეესტრი) (დანართი №6).";

დ) მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სპეციალური სავაჭრო კომპანიის სტატუსი ენიჭება საწარმოს უფლებამოსილი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე (დანართი №2). განცხადება უნდა შეიცავდეს:

ა) საწარმოს სახელწოდებას და სამართლებრივ ფორმას;

ბ) საწარმოს საიდენტიფიკაციო ნომერს;

გ) საწარმოს იურიდიულ მისამართს;

დ) განცხადების წარდგენის თარიღს და უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერას.";

ე) მე-4 მუხლი ამოღებულ იქნეს;

ვ) მე-7 მუხლი ამოღებულ იქნეს.

3. ბრძანებით დამტკიცებული „დანართი N2", „დანართი N4" და „დანართი N6" ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

4. ბრძანებით დამტკიცებული „დანართი N5" ამოღებულ იქნეს.

**მუხლი 2**

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**ფინანსთა მინისტრი** **ნოდარ ხადური**

**„დანართი №2**

**გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა**

**საერთაშორისო ფინანსური კომპანიის და სპეციალური სავაჭრო კომპანიის სტატუსის**

**მინიჭების/გაუქმების თაობაზე**

საერთაშორისო ფინანსური კომპანიის

სპეციალური სავაჭრო კომპანიის

სტატუსის მინიჭების თაობაზე

სტატუსის გაუქმების თაობაზე

---

(საწარმოს სახელწოდება და სამართლებრივი ფორმა)

---

(საწარმოს საიდენტიფიკაციო ნომერი)

---

(საწარმოს იურიდიული მისამართი)

---

(სტატუსის მოქმედების ვადა)

---

(სტატუსის გაუქმების წელი)

საწარმოს უფლებამოსილი წარმომადგენელი:

(ხელმოწერა)

„-----“ ---------- 201.... წელი

შენიშვნა:

1. სტატუსის მოქმედების ვადა ივსება მხოლოდ საერთაშორისო ფინანსური კომპანიის სტატუსის მინიჭების თაობაზე განცხადებით მიმართვისას და მიეთითება „უვადო“ ან კონკრეტული კალენდარული წელი.

2. სტატუსის გაუქმების წელი ივსება სტატუსის გაუქმების თაობაზე განცხადებით მიმართვისას.“

**„დანართი №4**

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

**შემოსავლების სამსახური**

**სპეციალური სავაჭრო კომპანიის სტატუსის მინიჭების თაობაზე**

**ს ე რ ტ ი ფ ი კ ა ტ ი №**

---

(საწარმოს სამართლებრივი ფორმა და სახელწოდება,)

---

(საიდენტიფიკაციო ნომერი)

---

(სტატუსის მინიჭების თარიღი)

მოცემული სერტიფიკატის მფლობელი არის საწარმო, რომელსაც საქართველოს საგადასახადო კოდექსის 241 მუხლის შესაბამისად მინიჭებული აქვს „ სპეციალური სავაჭრო კომპანიის“ სტატუსი.

საგადასახადო ორგანოს

უფლებამოსილი პირი ----------

ბ.ა. (ხელმოწერა)

შევსების თარიღი „ -------“ ---------- 201....წელი“

**„დანართი №6**

**საერთაშორისო ფინანსური კომპანიების და სპეციალური სავაჭრო კომპანიების რეესტრი**

| № | საწარმოს სახელწოდება, სამართლებრივი ფორმა | საიდენტიფიკაციო ნომერი | სტატუსის სახე | სტატუსის | | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | მინიჭების თარიღი | მოქმედების ვადა | |
| | | | | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |

„.